

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

### მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 21 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი № 2– 4 (ოთხი) ფურცელი

დასკვნა № 2– 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ემზარ თევდორაძე



კომისიის თავმჯდომარე  
საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ  
საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ.ლანჩხუთი

21.03.2018 წელი

16.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ეშზარ თევდორაძე;

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, გიორგი გვარჯალაძე, ამირან გიგინეიშვილი, კარლო კვიციანიშვილი, ელისო ჭიჭინაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, სამანდატო, საპროცედურო, ორიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, მაჩხვარეთის სააღმშრდელი ცენტრის ხელმძღვანელი თამარ კერესელიძე, მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია კუპატაძე, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაკორია.

სხდომის თავმჯდომარემ, ეშზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ეშზარ თევდორაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ეშზარ თევდორაძე/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, ეშზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე კომისიის წევრებმა გამოთქვეს რამდენიმე სახის შენიშვნა, კერძოდ: დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ

მუხლი 130. საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა

1. საკრებულოს რეგლამენტი მიიღება საკრებულოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

3. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

განმარტა, რომ თუ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია სიითი შემადგენლობის ერთი მესამედით, ხოლო მისი ცვლილების ინიცირება ხორციელდება იმავე, (საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედით), რა საჭიროა საკრებულოს გადაწყვეტილება თუ ინიცირების საშუალება აქვს საკრებულოს დეპუტატს.

სამანდატო, საპროცედურო, ოპრიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ განმარტა, რომე ეს შენიშვნა ჩასწორდება.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა ასევე განაცხადა, რომ მუხლი 12. საკრებულოს წევრის უფლება-მოვალეობანი;

ა) საკრებულოში წარადგინოს დადგენილების ან /და განკარგულების მიღების მიზნით; გაწერილია რომ საკრებულოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების ინიცირებისა, ანუ უფლება აქვს საკრებულოს დადგენილების ან საკრებულოს განკარგულების ინიცირებისა. რადგანაც რეგლამენტი გადაწყვეტილებაა, მისი ინიცირების უფლებაც უნდა ჰქონდეს საკრებულოს დეპუტატს.

სამანდატო, საპროცედურო, ოპრიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანიამ განმარტა, რომ რადგანაც არსებობს რეგლამენტი შეგვიძლია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით შევავსოთ ხარვეზი, ხოლო რეგლამენტის არსებობა გვაძლევს საშუალებას, შევიმუშავოთ ინიცირების განსხვავებული წესი.

ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ რეგლამენტით ასევე განსაზღვრულია: მუხლი 73. ბიუჯეტის პროექტის მომხსენებელი და ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.

1. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისას მომხსენებელია მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თანამომხსენებლად შეიძლება გამოვიდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; ეს ნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში მერს უფლება აქვს ბიუჯეტის ცვლილებისას თვითონ არ გამოცხადდეს საკრებულოს სხდომაზე. ასევე წლიურ ანგარიშს აბარებს მერი ან მერის მოადგილე, აუცილებელია მითითებული იყოს, რომ „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და წლის ანგარიში წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის მერმა“.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე, გაითვალისწინონ შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მუხლი 130. საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა

1. საკრებულოს რეგლამენტი მიიღება საკრებულოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

3. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

2. მუხლი 12. საკრებულოს წევრის უფლება-მოვალეობანი;

ა) საკრებულოში წარადგინოს დადგენილების ან /და განკარგულების მიღების მიზნით; გაწერილია რომ საკრებულოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების ინიცირებისა, ანუ უფლება აქვს საკრებულოს დადგენილების ან საკრებულოს განკარგულების ინიცირებისა. რადგანაც რეგლამენტი გადაწყვეტილებაა, მისი ინიცირების უფლებაც უნდა ჰქონდეს საკრებულოს დეპუტატს.

3. მუხლი 73. ბიუჯეტის პროექტის მომხსენებელი და ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.

1. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისას მომხსენებელია მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თანამომხსენებლად შეიძლება გამოვიდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

შენიშვნების გათვალისწინებით დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის სხდომას განსახილველად.

## მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ შემოადინებული დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის პრეამბულა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ მერიის სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.“

რაც შეეხება წესში სოციალური დახმარების სახეების მიხედვით ბენეფიციარზე გასაცემი სოციალური დახმარების ოდენობების, სოციალური დახმარების გაცემის პირობებისა და ბენეფიციართა ჩამონათვალის თაობაზე შენიშვნას, სამსახური ვერ გაიზიარებს, ვინაიდან შემოადინებული რეგულირდება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 განკარგულებით.

ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის“ მე-13 მუხლის 4.2. პუნქტის ტექნიკურ ხარვეზთან (შრავალშვილიანთა ოჯახების დახმარება) დაკავშირებით სამსახურის მიერ მიეწოდა შესაბამისი წინადადება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის სხდომას განსახილველად.

## მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

### 3. სხვადასხვა

1. კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას დაეწერა ა(ა)იპ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ ყოფილი დირექტორის დურმიშან ჩხაიძის წერილი. ის ითხოვს „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ ცალკე კლუბად დაფუძნებას. კლუბი დაკომპლექტდება „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ სატურნირო განაცხადში წარდგენილი სპორტსმენებით და დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში. კლუბის ფუნქციონირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 10%-ით დაფინანსება მოხდება სპონსორის მიერ. ასევე გუნდი მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნება მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისკენ.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საკმაოდ წარმატებული გოგონები არიან, აუცილებელია მათ განვითარებას და წინსვლას შეუწყონ ხელი. ისინი ეთანხმებიან „გოგნათა სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ ცალკე კლუბად დაფუძნებას.

2. კომისიის თავმჯდომარემ ასევე კომისიას გააცნო ყოფილი ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ თანამშრომლების წერილი (N15 19.03.2018 წელი). მათი სურვილია შესაბამის კომისიაში განხილულ იქნას საფეხბურთო სკოლის თხოვნა, რომ გამოეყოს „სპორტულ ცენტრს“ და იფუნქციონიროს დამოუკიდებლად.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტში იგეგმება საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა, ამდენად არის შესაძლებლობა პროფესიონალურ დონეზე განავითარდეს ბავშვთა ფეხბურთი.

3. დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ სოფელ ნიგოთის ბიბლიოთეკა ავარიულ შენობაშია განთავსებული. სასურველია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში დაეთმოს ფართი და მოეწყოს ბიბლიოთეკისთვის შესაბამისი გარემო.

4. სოფელ მარხვარეთის სააღმწარდელო ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ კერესელიძემ განაცხადა, რომ საბავშვო ბაღში 5 სააღმწარდელო ჯგუფი და 140 აღსაზრდელია, პედაგოგებს და ტექნიკურ პერსონალს დაბალი ანაზღაურება აქვთ, მათი თხოვნაა გაეზარდოს ანაზღაურება.

კომისიის თავმჯდომარემ ემზარ თევდორაძემ და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ განაცხადეს, რომ აუცილებლად განიხილავენ აღნიშნულ პრობლემას სააღმწარდელო ცენტრის ხელმძღვანელობასთან და მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად.

5. კომისიის თავმჯდომარემ ემზარ თევდორაძემ განაცხადა, რომ სოფელ აგანის საბავშვო ბაღი ავარიულ მდგომარეობაშია, აუცილებელია ახალი სააღმწარდელო ცენტრის აშენება. სოფელში არის ალტერნატიული შენობა (მუნიციპალიტეტის საკუთრება), რომელიც საჭიროებს დემონტაჟს. აღნიშნული შენობა აუდიტის სამსახურმა 0 ლარით შეაფასა და ამის გამო ვერ ხერხდება ტენდერის გამოცხადება, რომ ნანგრევებიდან გათავისუფლდეს ტერიტორია.

სოფლის მოსახლეობის თხოვნაა მერიის შესაბამისი სამსახური დაინტერესდეს აღნიშნულით და დაეხმარონ პრობლემის მოგვარებაში.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

 ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №2 სხდომის  
დასკვნა

ქ.ლანჩხუთი

21.03.2018 წ.

2018 წლის 21 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე. აღნიშნულ მუხლებში მოხდეს შესაბამისი რედაქტირება:

1. მუხლი 130. საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა
  1. საკრებულოს რეგლამენტი მიიღება საკრებულოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.
  3. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.
2. მუხლი 12. საკრებულოს წევრის უფლება-მოვალეობანი:
  - ა) საკრებულოში წარადგინოს დადგენილების ან/და განკარგულების მიღების მიზნით; გაწერილია რომ საკრებულოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების ინიცირებისა, ანუ უფლება აქვს საკრებულოს დადგენილების ან საკრებულოს განკარგულების ინიცირებისა. რადგანაც რეგლამენტი გადაწყვეტილებაა, მისი ინიცირების უფლებაც უნდა ჰქონდეს საკრებულოს დეპუტატს.

3. მუხლი 73. ზუგუეტის პროექტის მომხსენებელი და ზიუგუეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.

1. ზიუგუეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისას მომხსენებელია მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თანამომხსენებლად შეიძლება გამოვიდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

2. შენიშვნების გათვალისწინებით დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ზიუგუეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2018 წლის 30 მარტის სხდომას განსახილველად.







ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



ემზარ თევდორაძე

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი  
21.03.2018 წელი

სახელი, გვარი	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე	
2. კარლო კვიციანიშვილი	
3. გოდერძი ქურიძე	მხ ესნუბოძა
4. კახა თედორაძე	მხ ესნუბოძა
5. რეზო კვაჭაძე	მხ ესნუბოძა
6. ზაალ სანაძე	
7. ბესიკ კუპრაძე	
8. ამირან ქანთარია	მხ ესნუბოძა
9. გიორგი გვარჯალაძე	
10. რეზო კვერენჩილაძე	მხ ესნუბოძა
11. ელისო ჭიჭინაძე	
12. ამირან გიგინეიშვილი	